- **ზოგადი ინფორმაცია**

რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის ამჟამად არსებული რეჟიმი ეფუძნება 2015 წლიდან განხორციელებულ ინსტიტუციურ და საკანონმდებლო რეფორმებს. შედეგად, როგორც თქვენთვის ცნობილია, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სახელმწიფო რეგულირებას ახორციელებს მარეგულირებელი ორგანო - სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო. რეგულირების მიზნით, კანონმდებლობით, სააგენტოსთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

- ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებების განხორციელება;
- ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაცია;
- ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირება;
- ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო და სანებართვო პირობების დარღვევის და არაავტორიზებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის გამოვლენის შემთხვევაში იძულებითი ზომების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- რადიოაქტიური ნივთიერებებისა და შესაბამისი ბირთვული და რადიაციული ობიექტების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) სისტემის ფუნქციონირების კონტროლი;
- ბირთვული და რადიაციული ავარიებისა და ინციდენტებისათვის მზადყოფნის და მათზე რეაგირების ღონისძიებებში მონაწილეობა;
- ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში დადებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფა; და სხვა

საქართველოში ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ სააგენტოს ავტორიზაციის საფუძველზე; ხოლო ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს სააგენტო გეგმური და არაგეგმური ინსპექტირების მეშვეობით ახორციელებს. ამ და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულების თაობაზე, სააგენტო ყოველწლიურად წარუდგენს დეტალურ ანგარიშს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს. კერძოდ, ანგარიშებში მოცემულია ინფორმაცია ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციის, ინსპექტირების რაოდენობის, იძულებითი თუ ოპერატიული ღონისძიებებისა და რადიოაქტიური ნარჩენების მართვის მიმართულებით სააგენტოს მიერ განხორციელებული აქტივობების თაობაზე.

- **საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმი**

რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფას, საქართველო მხარეა ატომური ენერგიის საერთშორისო სააგენტოს (აესს) ეგიდით შემუშავებული შემდეგი ხელშეკრულებების:

საერთაშორისო ხელშეკრულების დასახელება	**სავალდებულოდ აღიარების თარიღი**

ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენცია	2006 წლის 7 სექტემბერი
ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენციის ცვლილება	2012 წლის 5 აპრილი
ბირთვული ავარიის ადრეული შეტყობინების შესახებ კონვენცია	2010 წლის 6 ოქტომბერი
ბირთვული ავარიის ან რადიოლოგიური ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების შესახებ კონვენცია	2018 წლის 10 აპრილი
გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების შესახებ გაერთიანებული კონვენცია	2009 წლის 22 ივლისი
ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ შეთანხმება	2019 წლის 2 ოქტომბერი
ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსგან ტექნიკურ დახმარებასთან დაკავშირებული შესწორებული დამატებითი შეთანხმებები	2001 წლის 19 სექტემბერი
საქართველოს რესპუბლიკისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შეთანხმება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე	1997 წლის 29 სექტემბერი
დამატებითი ოქმი საქართველოს რესპუბლიკისა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შეთანხმება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე	1997 წლის 29 სექტემბერი

ჩამოთვლილი ხელშეკრულებებიდან მხოლოდ გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების შესახებ გაერთიანებული კონვენცია ითვალისწინებს შესრულების თაობაზე ანგარიშის წარდგენას დადგენილი პერიოდულობით. მეოთხე ანგარიში სააგენტომ, საქართველოს სახელით, 2020 წელს წარადგინა, სადაც მოცემულია კონვენციის იმპლემენტაციისათვის უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები.

სააგენტო, ასევე, მჭიდროდ თანამშრომლობს აესს-სთან გარანტიების გამოყენების თაობაზე შეთანხმებითა და დამატებითი ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად და წარადგენს მონაცემებს ქვეყანაში არსებული ბირთვული მასალის თაობაზე. დამატებით, საქართველომ, გასულ წელს, უმასპინძლა აესს-ის გარანტიების დეპარტამენტის ინსპექტორთა მისიას, რომლის ფარგლებშიც შეფასდა ვალდებულებებთან/საქართველოს მიერ წარდგენილ ანგარიშებთან არსებული სიტუაციის შესაბამისობა.

გარდა ამისა, სააგენტო, როგორც ბირთვული ავარიის ან რადიოლოგიური ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების შესახებ და ბირთვული ავარიის ადრეული შეტყობინების შესახებ კონვენციების საკონტაქტო პირი, აქტიურად თანამშრომლობს აესს-

სთან, მითითებული ხელშეკრულებების მიზნების, ამოცანებისა და სულისკვეთების ეროვნული და საერთაშორისო დონეზე იმპლემენტაციისათვის.

უფრო კონკრეტულად, სააგენტო რეგულარულად აესს-სა და წევრ სახელმწიფოებს აწვდის ინფორმაციას ბირთვულ ან რადიოაქტიურ მასალასთან დაკავშირებული ინციდენტებისა თუ უკანონო ვაჭრობის თაობაზე აესს-ის მიერ ადმინისტრირებული მონაცემთა ბაზის მეშვეობით (Incident and Trafficking Database (ITDB)). ამავე პორტალის მეშვეობით, სააგენტო, ასევე, მუდმივად ინფორმირებულია სხვა ქვეყნებში დაფიქსირებული მსგავსი შემთხვევების თაობაზე. ამგვარი სისტემა უზრუნველყოფს, ადრეულ შეტყობინებასა და საჭირო ინფორმაციის ფლობას.

ხოლო დახმარების შესახებ კონვენციის ფარგლებში, რომელსაც საქართველო, სააგენტოს ინიციატივით, 2018 წელს შეუერთდა, შესაძლებელი გახდა, 1997 წელს განვითარებული ე.წ. ლილოს რადიოლოგიური ავარიის დაზარალებულს საჭირო მკურნალობა გაეარა საფრანგეთის ერთ-ერთ პროფილურ კლინიკაში. სააგენტოს შუამდგომლობისა და კონვენციის საფუძველზე ჩამოყალიბებული თანამშრომლობის შედეგად, მკურნალობა უმეტესწილად მასპინძელმა სახელმწიფომ დააფინანსა.

- **საერთაშორისო თანამშრომლობა**

როგორც ცნობილია, რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში, საქართველოს ერთ-ერთ მთავარ საერთაშორისო პარტნიორს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (აესს) წარმოადგენს. 2020 წლის 26 ნოემბერს, სააგენტოს უფროსმა ვასილ გედევანიშვილმა და აესს-ის გენერალური დირექტორის მოადგილემ და ტექნიკური თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსმა დაჟუ იანგმა ხელი მოაწერეს საქართველოს ჩარჩო პროგრამას 2020-2025 წლებისთვის. ჩარჩო პროგრამა წარმოადგენს სახელმწიფოს აესს-თან თანამშრომლობის ღონისძიებების საშუალო-ვადიანი პერსპექტივით დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველს. იგი შემუშავდა აესს-ის სამდივნოსთან მჭიდრო თანამშრომლობით და შესაბამისი უწყებების ჩართულობით. ჩარჩო პროგრამა საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 9 ივლისის N1185 განკარგულებით მოიწონა.

ჩარჩო პროგრამით განისაზღვრა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების, ასევე, ბირთვული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით ორმხრივად შეთანხმებული ეროვნული საჭიროებები ქვეყნის განვითარების გეგმებისა და პრიორიტეტების, წარსულში თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით. ჩარჩო პროგრამა ეყრდნობა ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტებს, როგორიცაა: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია; ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება; ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება; რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სტრატეგია; საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა და სხვა. ჩარჩო პროგრამაში იდენტიფიცირებულია სახელმწიფოს ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა მხარდასაჭერად საქართველო მიიღებს, დაახლოებით, 10 მლნ ევროს ღირებულების ბირთვულ ტექნოლოგიებს და ტექნიკური თანამშრომლობის სხვა რესურსებს.

აესს-თან თანამშრომლობის ფარგლებში, ასევე, ჩამოყალიბდა ახალი საპროექტო წინადადებები (მარეგულირებელი ორგანოს გაძლიერების, რადიოაქტიური ნარჩენების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების, გარემოს რადიაციული მონიტორინგის განახლების და სხვა) 2022-2025 წლების თანამშრომლობისთვის. პროექტები მოწონებული და მიღებული იქნა აესს-ის მიერ.

ამჟამად, საქართველო, აესს-ის ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში, ახორციელებს 4 ეროვნულ პროგრამას შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- საკვების დამაბინძურებლებისა და ნარჩენების შემოწმებისა და მონიტორინგის ეროვნული პროგრამების გაძლიერება;
- ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის გაუმჯობესება;
- სათანადო გადამამუშავებელი საწარმოსა და საცავის ჩამოყალიბების გზით, რადიოაქტიური ნარჩენების უსაფრთხოების გაძლიერება;
- მარეგულირებელი ზედამხედველობისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება.

საქართველო, ასევე, მონაწილეობს აესს-ის ათეულობით რეგიონულ და საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის პროექტში. ამავდროულად, საქართველოს დელეგაცია ყოველწლიურად აჟღერებს ქვეყნის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, მიღწეულ პროგრესს, არსებულ გამოწვევებსა თუ სტრატეგიულ მიმართულებებს აესს-ის გენერალური კონფერენციის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ, სააგენტოს ინიციატივით, საქართველომ, 2018 წლის 18-28 თებერვალს უმასპინძლა აესს-ის მისიას - თორმეტმა საერთაშორისო ექსპერტმა შეისწავლა საქართველოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი სისტემა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. მისიამ დადებითად შეაფასა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მიმართულებით ბოლო წლებში გატარებული რეფორმები - აღინიშნა, რომ მნიშვნელოვნადაა გაძლიერებული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი ინფრასტრუქტურა საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა დაცულობას და უსაფრთხოებას. თუმცა მისიამ შეიმუშავა მთელი რიგი რეკომენდაციები, რაც, პირველ რიგში, საჭიროებს მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილებას. სააგენტო, ამჟამად, სხვა რეკომენდაციების იმპლემენტაციასთან ერთად, მუშაობს მარეგულირებელი კანონის - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის განახლებაზე. 2022 წელს იგეგმება რეკომენდაციების იმპლემენტაციის შემსწავლელი შემდგომი მისიის მოწვევა.

ამავდროულად, აესს-სთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, განახლდა ბირთვული დაცულობის მხარდაჭერის ინტეგრირებული გეგმა - 2018 წელს, საქართველომ უმასპინძლა აესს-ის გეგმის შემსწავლელ მისიას. აესს-ის ექსპერტებმა განიხილეს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული გეგმის (2015-2019 წლების) ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და არსებული პროგრესი. შედეგად, უფლებამოსილი ყველა უწყების ჩართულობით, შეთანხმდა შემდგომი პერიოდის (2022-2024 წლები) გეგმის მონახაზი. ამჟამად, სააგენტო მუშაობს გეგმის საბოლოო ტექსტზე და საქართველოს

მთავრობასთან შეთანხმებული პროგრამის მიხედვით, უახლოეს პერიოდში, წარადგენს დასამტკიცებლად. ბირთვული დაცულობის მიმართულებით თანამშრომლობის ფარგლებში, სააგენტო გეგმავს, მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში საერთაშორისო ბირთვული დაცულობის სააგენტოს საკონსულტაციო (International Nuclear Security Advisory Service (INSServ)) მისიის მოწვევას. მისიის მიზანია, საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენა, ბირთვული დაცულობის ეფექტიანი რეჟიმების ჩამოყალიბებასა და განახლებაში. იგულისხმება, მათ შორის, ქვეყანაში კონტროლს მიღმა არსებულ ბირთვულ და სხვა რადიოაქტიურ მასალასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან ბრძოლის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

გარდა აესს-ისა, სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ-სთან, ევროკავშირთან, შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელ ორგანოსთან ისევე, როგორც ლიეტუვის, უკრაინისა თუ სხვა პარტნიორი სახელმწიფოების მარეგულირებელ ორგანოებთან.

- **რადიოაქტიური ნარჩენების მართვა**

ევროკავშირისა და შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი ორგანოს მხარდაჭერილია საქართველოში რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სფეროში განხორციელებული და დაგეგმვილი აქტივობები.

როგორც თქვენთვის ცნობილია, რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რადიოაქტიური ნარჩენების მართვის საშუალო-ვადიანი მიზნები და ამოცანები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 15-წლიანი სტრატეგიით (რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017 – 2031 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N 640 დადგენილება).

2 ან/და 3 წლის პერიოდულობით განახლებადი სამოქმედო გეგმების მეშვეობით ხორციელდება სტრატეგიით გათვალისწინებული შემდეგი მიზნები:

- რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ობიექტების (საცავი, სამარხი, გადამამუშავებელი საწარმო) ერთ ლოკაციაზე კონსოლიდირება.
- რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ობიექტების ინფრასტრუქტურის განვითარება.
- რადიოაქტიური ნარჩენების გადამუშავება.
- რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობისას ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების და დაცულობის დონის გაზრდა;
- რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სფეროში საკანონმდებლო აქტების შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ადმინისტრაციული, ტექნიკური და ადამიანის რესურსების განვითარება.

2020 წელს, დასრულდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა რადიოაქტიური ნარჩენების საცავისა და გადამამუშავებელი

საწარმოს ზოგადი დიზაინის შემუშავებას, ობიექტების ერთ ლოკაციაზე განთავსების მიზნის მისაღწევად. პროექტის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელი სააკაძის მიმდებარე ტერიტორიის, სადაც ამჟამად რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი მდებარეობს, რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ობიექტების განთავსების სავარაუდო ადგილად განსაზღვრის თაობაზე.

პროექტის წარმატებამ განაპირობა თანამშრომლობის გაგრძელება და პროექტის მეორე ეტაპის დაგეგმვა, რომელსაც ხელი გასულ წელს მოეწერა. მეორე ეტაპი მიზნად ისახავს საცავისა და გადამამუშავებელი საწარმოს დეტალური დიზაინის შემუშავებას. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, 2 წლის შემდეგ (2023 წელს), დასრულდება დეტალური დიზაინის შემუშავების პროცესი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება რადიოაქტიური ნარჩენების საცავისა და გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის დაწყება, საქართველოს მთავრობის საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისად. ამჟამად, მიმდინარეობს ტენდერის პროცედურები იმ ორგანიზაციის გამოსავლენად, რომელიც შეიმუშავებს ზემოთ ხსენებული ობიექტების დეტალურ დიზაინს.

პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა სამოქმედო დოკუმენტზე, რომელიც უნდა გახდეს მომავალში მითითებული ობიექტების სათანადო ტექნიკური აღჭურვისათვის ევროკავშირიდან მხარდაჭერის მიღების საფუძველი.

ამავდროულად, შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი ორგანოსა და Sida-ს მხარდაჭერით, დაიწყო პროექტი ადგილობრივი სპეციალისტების ცოდნის გასაუმჯობესებლად, რათა მათ შეძლონ რადიოაქტიური ნარჩენების მართვის განახლებული ობიექტების ოპერირება და ზოგადად, რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად ქვეყანაში თანამედროვე საერთაშორისო სტანადარტების დანერგვის მიზნით. ასევე, მუშავდება სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია მაიონებელი გამოსხივების მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

დამატებით, შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი ორგანოსთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის პროტოკოლი, რომელიც მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 მაისის N832 განკარგულებით.

რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ამ მიმართულების გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტო ახორციელებს სოფელი ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეთა კვლევების ყოფილი ინსტიტუტის რადიონუკლიდებით დაბინძურებული ტერიტორიის შესწავლასა და მონიტორინგს. 2020 წელს, სააგენტოს სპეციალისტებმა განახორციელეს ტერიტორიის პირველადი რემედიაცია - ადგილზე მოიჭრა დაბინძურებული მიწის ზედაპირი და გადატანილი იქნა სოფელ სააკაძესთან არსებულ რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე, სპეციალურად მოწყობილ შესანახში.

2021 წლის განმავლობაში, სააგენტო გეგმავს, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად აღმოჩენილი ყოფილი ინსტიტუტის ლაბორატორიის დაბინძურებული შენობის გაწმენდასა და შესაბამისი უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებას, მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და გარემოს დასაცავად.

- **გარემოს რადიაციული მონიტორინგი და ბირთვულ ან რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება**

2020 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად, სააგენტოს გადაეცა გარემოს რადიაციული მონიტორინგის ფუნქცია. სააგენტომ შეისწავლა არსებული ტექნიკური და ექსპერტული ვითარება, დააიდენტიფიცირა გამოწვევები და დაიწყო მუშაობა შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი ორგანოს შესაბამისი მხარდაჭერის მისაღებად.

ამავდროულად, სააგენტოს, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, 2020 წელს, გადმოეცა 1 000 000 ევროს ღირებულების მობილური ლაბორატორია, გარემოს რადიაციული მონიტორინგის განსახორციელებლად. ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, ლაბორატორიის გამოყენებით შესაძლებელია ადგილზე, საველე პირობებში, წყლის, ნიადაგისა და ჰაერის ნიმუშების აღება, მაიონებელი გამოსხივების ლაბორატორიული კვლევა და ანალიზი. სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით კი, შესაძლებელი იქნება რადიაციულად დაბინძურებული ღრუბლის ან ჰაერის მასების გავრცელების შეფასება.

შესაბამისად, სააგენტო, 2021 წლის განმავლობაში გეგმავს, ლაბორატორიის გამოყენებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განახორციელოს გარემოს რადიაციული მონიტორინგი.

რაც შეეხება ბირთვულ ან რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნასა და რეაგირებას, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 დეკემბრის N 640 დადგენილებით დამტკიცდა სააგენტოს მიერ და ყველა რელევანტური უწყების ჩართულობით შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტი – ბირთვული და რადიაციული ავარიებისათვის მზადყოფნისა და მათზე რეაგირების გეგმა. გეგმით განისაზღვრა როგორც ტექნიკური, ისე უფლებამოსილებათა განაწილების საკითხები.

გარდა ამისა გეგმის საფუძველზე, სააგენტომ შეიმუშავა „ბირთვულ ან რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ცენტრის შემადგენლობისა და ფუნქციების“ დამტკიცების შესახებ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, 2020 წლის N 2-278 ბრძანებით. შედეგად, სააგენტოში შეიქმნა ბირთვული და რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციების რეაგირების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მსგავს შემთხვევებში სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, ზიანის თავიდან აცილების ან/და შემცირების მიზნით.

ამავდროულად, სააგენტო ჩართულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის იმპლემენტაციის პროცესში, ასრულებს რა ყოველწლიური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს.

სააგენტო გამოთქვამს მზადყოფნას, წინამდებარე წერილში მითითებულ ან ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით, მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ბირთვული და რადიაციული
უსაფრთხოების სააგენტო**

Ministry of Environment Protection and
Agriculture of Georgia

Legal Entity of Public Law
**Agency of Nuclear
and Radiation Safety**

საქართველო, 0112 თბილისი,წინამძღვრიშვილის 200 ; ტელ: (+995 32) 2500047, 2500042, www.anrs.gov.ge; ელ.ფოსტა: contact@anrs.gov.ge
200 Tsinamdzgvrishvili Str. 0112, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2500047, 2500042, ; www.anrs.gov.ge; E-mail: contact@anrs.gov.ge

N 157

30/03/2021

157-0-2-202103301728

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს პარლამენტის წევრის ბატონი ვლადიმერ ჩაჩიბაიას 2021 წლის 19 მარტის № 2453/3-106/21 წერილის პასუხად, თანდართული დოკუმენტის სახით, გიგზავნით ინფორმაციას ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კუთხით საქართველოში არსებული ვითარების, მათ შორის, ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების, ვალდებულებების და მათი შესრულების სტატუსის შესახებ.

პატივისცემით,

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ბირთვული და რადიაციული
უსაფრთხოების სააგენტო**

Ministry of Environment Protection and
Agriculture of Georgia

Legal Entity of Public Law
**Agency of Nuclear
and Radiation Safety**

საქართველო, 0112 თბილისი,წინამძღვრიშვილის 200 ; ტელ: (+995 32) 2500047, 2500042, www.anrs.gov.ge; ელ.ფოსტა: contact@anrs.gov.ge
200 Tsinamdzgvrishvili Str. 0112, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2500047, 2500042, ; www.anrs.gov.ge; E-mail: contact@anrs.gov.ge

N 157

30/03/2021

157-0-2-202103301728

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს პარლამენტის წევრის ბატონი ვლადიმერ ჩაჩიბაიას 2021 წლის 19 მარტის № 2453/3-106/21 წერილის პასუხად, თანდართული დოკუმენტის სახით, გიგზავნით ინფორმაციას ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კუთხით საქართველოში არსებული ვითარების, მათ შორის, ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების, ვალდებულებების და მათი შესრულების სტატუსის შესახებ.

პატივისცემით,

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო